ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ92. 92223088**

თარიღი:**04/11/2022**

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს “ახალგაზრდული საბჭოს“ დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის "ე" პუნქტის "ე.ე" და "ე.ვ" ქვეპუნქტების, ასევე მე-16 მუხლის მე-4 პუნქტისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N46 დადგენილების "ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი1.დამტკიცდეს თანდართული „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს “ახალგაზრდული საბჭოს“ დებულება.

მუხლი2.ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ნინო ბატიაშვილს.

მუხლი 3.ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4.ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში მის: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქუჩა N24

ჯონდო მდივნიშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი